

სკოპინგის დასკვნა N24

საქმიანობის დასახელება: 60 ტონა თევზის მოშენების მიზნით 63 000 მ³ წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ევრობეტონი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქებაანი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 06.07.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, შპს „ევრობეტონის“ მიერ წარმოდგენილია, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში თევზის მოშენების მიზნით, წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში. მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. თევზის მეურნეობის (წყლის შესაკავებელი ნაგებობების) მოწყობა დაგეგმილია 3 მიწის ნაკვეთზე, (ს/კ 200.23.23652; ს/კ 200.23.23631; ს/კ 200.23.23615) ჯამური ფართობით - 134 000 მ² (13.4 ჰა). აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. პროექტით გათვალისწინებულია 6 წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობა (თითოეული ზომით: სიგრძე - 100 მ, სიგანე - 70 მმ, სიღრმე - 1,5 მეტრამდე). პროექტის ფარგლებში წყლით დაიფარება 42 000 მ² (4.2 ჰა) ფართობის მქონე ტერიტორია. დაგროვილი წყლის ჯამური მოცულობა იქნება 63 000 მ³. ტბორების წყლით მომარაგება გათვალისწინებულია მდ. მტკვრიდან. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მოასფალტებული გზა, უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. მიქელწყარო მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 600 მეტრის დაშორებით. ტერიტორიიდან დაახლოებით 1,2 კმ-ში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი - GE0000046 (კვერნაკი). ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 150 მეტრში მდებარეობს შპს „კავთურას“ ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმო. ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია დამუშავებული კარიერები, რომლებიც არსებული მდგომარეობით არ არის რეკულტივირებული და ამოვსებულია წყლით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი პროფილის მქონე ობიექტები წარმოდგენილი არ არის.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ 200.23.23652; ს/კ 200.23.23631; ს/კ 200.23.23615), რომლებიც მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 134 000 მ²-ს. დოკუმენტში განხილულია მხოლოდ შერჩეული ალტერნატივა, რომლის დასაბუთება ძირითადად ეფუძნება ტექნიკურ-ეკონომიკურ საკითხებს და სათანადოდ არ არის დასაბუთებული გარემოსდაცვით ჭრილში, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. დოკუმენტში განხილულია მხოლოდ შერჩეული ალტერნატივა და მასში მწირია ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების საკითხებზე. არ არის განხილული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების ჭრა, რაც მნიშვნელოვანი მოცულობისაა. გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას. ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილების ალტერნატივების შედარებითი ანალიზი (გონივრული ალტერნატიული ვარიანტების მითითებით და ერთმანეთთან შედარებით) და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებისა და გარემოსდაცვითი კუთხით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტბორებში მოხდება სარკისებრი კობრის, თეთრი ამურის, ტასტალობიკი და ლოქოს მოშენება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალურ თევზსაშენში გამოზრდილი ლიფსიტების შეყვანა ტბორებში, აერაციის სისტემით აღჭურვილი ავტოცისტერნების გამოყენებით. წლის განმავლობაში მოშენებული თევზის რაოდენობა საწყის ეტაპზე იქნება დაახლოებით 10 ტონა, შემდგომ დაგეგმილია წელიწადში 60 ტონა თევზის მოშენება და რეალიზაცია. საპროექტო ტერიტორიაზე თევზის დამუშავება გათვალისწინებული არ არის.

ტბორებში, როგორც წყლის შედინების, ისე გადინებისთვის მოეწყობა სპეციალური მექანიკური ჩამკეტები, რომელთა გახსნა-დახურვა მოხდება საჭიროებისამებრ, ტბორების წყლით შევსების ან დაცლის მიზნით. ტბორებში წყლის შედინების და გადინების წერტილებში, ასევე დაგეგმილია ფილტრების (რკინის წვრილი ბადეები) განთავსება, რათა არ მოხდეს მდინარიდან ტბორებში თევზის შესვლა, ხოლო ტბორებიდან ხელოვნურად მოშენებული თევზების მდინარეში მოხვედრა.

ტბორების ექსპლუატაციის ეტაპზე წყალაღების საკითხი დამოკიდებული იქნება ტბორებში არსებულ წყლის დონეზე. ტბორების (წყლის შესაკავებელი ნაგებობის) შევსების მიზნით წყლის (63 000 მ³) აღება განხორციელდება მდინარე მტკვრიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-453529; Y-4639086. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული რელიეფის გათვალისწინებით, მდინარიდან საპროექტო ტერიტორიამდე წყლის მიწოდება მოხდება თვითდინებით. წყლის ტბორებამდე მიწოდებისთვის დაგეგმილია 1670 მ სიგრძის (სიღრმე - 0.6–0.7 მ სიღრმის, სიგანე - 1 მ) ღია არხის გაყვანა. აღნიშნული არხი ორ ადგილას (გადაკვეთების GPS კოორდინატები: X-453733 Y-4639055; X-454312, Y-4638832) გადაკვეთს გრუნტის გზას. გადაკვეთა გათვალისწინებულია გზის ქვემოდან 500 მმ დიამეტრის მქონე გოფრირებული მილების 3-4 მეტრის სიღრმეზე განთავსებით. მილის დაფარვის მიზნით მოხდება ამოღებული გრუნტით უკუყრილის გაკეთება. წყალაღებისთვის განკუთვნილი არხი გაივლის არსებული გრუნტის გზის დერეფანში, მილის მცირე მონაკვეთი გადაკვეთს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთს ს/კ: 67.08.34.090, ამასთან უშუალოდ წყალაღების წერტილი (X-453529; Y-4639086) ექცევა ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ს/კ: 67.08.34.081. საპროექტო ტბორები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება 1 მ სიგანის და 0.6 – 0.7 მ მეტრი სიღრმის მქონე ღია არხებით. ერთი ტბორის შევსების შემდგომ თვითდინებით შეივსება მეორე, შემდგომ მესამე და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება ყველა ტბორის შევსება. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობისა და ჯერადობის, ასევე აღებული წყლის რაოდენობის აღრიცხვის/მონიტორინგის, ასევე მდინარის წყალმცირობის პერიოდში წყლის აღების შეზღუდვის/შემცირების შესახებ.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წყლის შესაკავებელი ნაგებობისა და არხების ქვეშ საიზოლაციო ფენის განთავსება დაგეგმილი არ არის. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი დასაბუთება (შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით) რამდენად უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქანები დაგუბებული წყლის შენარჩუნებას.**

ტბორებიდან წყლის მდინარეში ჩაშვების მიზნით, დაგეგმილია დაახლოებით 300 მ სიგრძის ღია არხის მოწყობა (1 მ სიგანის და 0.6 - 0.7 მ სიღრმის), რომელიც მიუერთდება ერთ-ერთ ტბორს. აღნიშნული არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვება მოხდება თვითდინებით. (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-455005; Y-4638913).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტბორებში საჭიროებისამებრ (პერიოდულად) მოხდება წყლის ხარისხის შემოწმება, წყლის სინჯების აღება და ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება. თვეში ერთხელ განხორციელდება საკონტროლო დაჭერები თევზების ზრდის ტემპის დასადგენად. თევზების კვება განხორციელდება სპეციალური ნავის საშუალებით. საკვებად გამოყენებული იქნება ბუნებრივი ტიპის საკვები. ტბორებში გაშვებული ლიფსიტების სარეალიზაციო ასაკამდე გაზრდის (სასაქონლო წონის მიღწევის) შემდგომ, დაიწყება თევზის აქტიური ჭერა, რისთვისაც საჭირო იქნება ტბორის წყლის დონის

ხელოვნურად შემცირება. ტბორებში წყლის დონის შემცირება, ასევე შეიძლება საჭირო გახდეს ტბორებში ჟანგბადის დონის გაზრდის მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წყლის შესაკავებელი ნაგებობების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობა იქნება 5 წელი. თავდაპირველად მოეწყობა და ექსპლუატაციაში შევა 2 ერთეული ტბორი, ხოლო შემდგომ 5 წლის განმავლობაში თანმიმდევრულად მოეწყობა დარჩენილი 4 ტბორი. 5 წლის შემდგომ ექსპლუატაციაში იქნება ჯამურად 6 ტბორი.

მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იქნება დაახლოებით 10 ადამიანი, ექსპლუატაციის ეტაპზე - დაახლოებით 10-12 ადამიანი. დასაქმებული პერსონალის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება მოხდება წყლის ადგილზე მიტანით. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვებისთვის ტერიტორიაზე დაგეგმილია საასენიზაციო ორმოს მოწყობა. ობიექტზე ასევე დაგეგმილია მცირე ზომის (დაახლოებით 20 კვ.მ) ხის კოტეჯის მოწყობა, რომელიც განკუთვნილი იქნება დასაქმებული პერსონალისთვის. ხის კოტეჯის მოსაწყობად, საძირკვლების ან/და სხვა რაიმე ტიპის ბეტონის ფუნდამენტის მოწყობა საჭირო არ იქნება. ასაწყობი კოტეჯის შემოტანა მოხდება ადგილზე. საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლების ჩაშვებისთვის ტერიტორიაზე დაგეგმილია საასენიზაციო ორმოს მოწყობა. საპროექტო ტერიტორიამდე ელექტროენერჯის მიწოდებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია.

სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება ბულდოზერის საშუალებით მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა 0,10 სიღრმეზე. ჯამურად 6 ტბორის მოწყობის შემთხვევაში მოიხსნება 4 200 მ³ მოცულობის ნაყოფიერი ფენა, რომელიც დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზე. ნიადაგის მოხსნის შემდეგ ექსკავატორის გამოყენებით მოხდება გრუნტის ამოღება და რეზერვუარების მოწყობა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებით ინფორმაცია „ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მშენებლობის პროცესში 6 ამოღებული გრუნტის მოცულობა იქნება 58 800 მ³. ამოღებული გრუნტი გამოყენებული იქნება რეზერვუარების გარშემო უკუყრილის მოსაწყობად და ნაწილი გატანილი იქნება იჯარით აღებულ კერძო საკუთრებაში (ს/კ 67.01.54.339; ს/კ 67.01.54.338), სადაც მოხდება გრუნტის დასაწყობება და შემდგომ რეალიზაცია. გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იქნეს უკუყრილებში გამოსაყენებელი და ტერიტორიიდან გასატანი გრუნტის მოცულობები, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს გრუნტის მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით, თუმცა თითოეულ ტბორთან ადვილად მისასვლელად, დაგეგმილია გრუნტის გზების მოწყობა. ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადების ფონური ინტენსივობის გათვალისწინებით, ადგილობრივ

გზაზე გადაადგილების შეზღუდვა მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს მისასვლელი გზების პარამეტრები და ფიზიკური მახასიათებლები. მისასვლელი გზები უნდა აისახოს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე, ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების სამშენებლო სამუშაოების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება კონტეინერებში და გადაეცემა მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები (წარმოქმნის შემთხვევაში) შეგროვდება სეპარირებულად, დახურულ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო ტყის საზღვრებში, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ბუჩქნარი და მცირე ზომის მერქნული მცენარეები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური დანიშნულებით ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, ტერიტორიის მთლიანი 133935 კვ.მ ფართობი (Shp-ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს No299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ფაუნის წარმომადგენლებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. **აღნიშნული საკითხი დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და დასაბუთებული (შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით) გზმ-ის ანგარიშში.**

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებას და ხმაურის წარმოქმნას ადგილი ექნება მშენებლობის ეტაპზე, ტბორების მოწყობის სამუშაოებს ექნება პერიოდული ხასიათი და განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების წყაროების განთავსება ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. გრუნტის ამოღების პროცესში ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის

არსებობის ნიშნების აღმოჩენის ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხდება სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ ეცნობება შესაბამის უწყებას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 2023 წლის პირველ აგვისტოს, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ევრობეტონის“, შპს „ეკომეტრის, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა თევზის ადგილზე დამუშავების საკითხებს. შპს „ევრობეტონის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტბორებში თევზი შეყვანილი იქნება მხოლოდ საჭირო ზომამდე გაზრდის მიზნით და პროექტის ფარგლებში თევზის ადგილზე დამუშავება გათვალისწინებული არ არის. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილ იქნა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ. წერილში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს კავთისხევის კირქვის კარიერი. ამასთან, კარიერსა და საპროექტო ტერიტორიას შორის გადის საავტომობილო გზა, რომლის გასწვრივ დაგეგმილია 1 მ სიგანის და დაახლოებით 1670 მ სიგრძის ღია არხის მოწყობა. წერილში მითითებულია, გზმ-ის ანგარიშში შეფასებული უნდა იყოს აღნიშნული არხისა და ტბორების გავლენა გზის სტაბილურობაზე და გეოლოგიურ პროცესებზე. წერილში აღნიშნული შენიშვნები და მოსაზრებები, სკოპინგის დასკვნასთან ერთად გადაეგზავნება საქმიანობის განმახორციელებელს.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირებულ იქნა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილ იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი) და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით;
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
 - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით (მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების და წყალჩაშვების წერტილების და წყლის შესაკავებელი ნაგებობების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები და Shp ფაილები, ასევე წყალსატარი არხების და მილსადენების);
 - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა-ანალიზი;
 - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა, რომელიც უნდა იძლეოდეს წყლის შესაკავებელი ნაგებობის და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების შესაძლებლობას, შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით;
 - დაზუსტებული მანძილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილიდან (წყლის შესაკავებელი ნაგებობებიდან, ასევე წყალაღების წერტილიდან) უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით) და შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;

- ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს არსებული ნებისმიერი ტიპის ობიექტის, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ;
- ობიექტის მუშაობის სქემის/ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით, მათ შორის საპროექტო წარმადობისა და სამუშაო რეჟიმის გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ, შესაბამისი საპროექტო მახასიათებლების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია:
 - წყლის შესაკავებელი ნაგებობების ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (მოცულობა, სიღრმე, სარკის ზედაპირის ფართობი და სხვ.);
 - წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობის სამუშაოების დეტალური და თანმიმდევრული აღწერა, ვადების მითითებით;
 - საპროექტო ნაგებობების ჰიდრავლიკური დატვირთვის პირობების შესახებ, ნაგებობების ეფექტურობის დასაბუთების მითითებით (საპროექტო წყლის მოცულობების შეკავების თვალსაზრისით);
 - წყალაღებისა და წყალჩაშვების მილსადენების შესახებ, პარამეტრების (სიგრძე, დერეფანი, დიამეტრი და ა.შ.), ტიპის და წყლის გამტარუნარიანობის მითითებით;
 - ვინაიდან წყლის შესაკავებელი ნაგებობის შევსება და დაცლა მოხდება თვითღინებით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების და წყალჩაშვების წერტილების, ღია არხების და წყლის შესაკავებელი ნაგებობების ნიშნულების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია წყლის შესაკავებელი ნაგებობების შემომზღუდავი ბარიერისა და დამცავი ბადეების შესახებ;
- ინფორმაცია წყლის შესაკავებელი ნაგებობების გამოშვებული წყლის ხარისხის პერიოდული მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესახებ;
- ინფორმაცია წყლის შესაკავებელი ნაგებობების რეცხვის შესახებ;
- ინფორმაცია თევზების კვების სისტემისა და თევზების საკვებით მომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია წყლის შესაკავებელი ნაგებობებიდან თევზების მდინარეში მოხვედრის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ობიექტის ელექტროენერჯის მომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია ობიექტის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ, მათ შორის: პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა, ვადებისა და სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გრუნტის რაოდენობისა და მათი მართვის შესახებ. მათ შორის დასაბუთებული უნდა იქნეს მოხსნილი გრუნტის რაოდენობის გათვალისწინებით, მისი უკუყრილებაში გამოყენების საკითხი;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზებისა და ახალი გზების მოწყობის საჭიროების შესახებ;

- საპროექტო ტერიტორიების საკუთრებისა ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ობიექტზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობის და დასაქმებულთა შორის ადგილობრივების წილის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

4.1 გზმ-ის ეტაპზე ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ, მათ შორის მინიმალური და საშუალო ხარჯები, ასევე მდინარეში მუდმივად დასატოვებელი ხარჯი, შესაბამისი დასაბუთებით;
- დეტალური ინფორმაცია მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობისა და ჯერადობის შესახებ, ასევე მდინარის წყალმცირობის პერიოდში წყლის აღების შეზღუდვის/შემცირების შესახებ;
- ინფორმაცია მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობის აღრიცხვის/მონიტორინგის შესახებ, შესაბამისი მეთოდისა და ტექნიკური გადაწყვეტის მითითებით;
- ინფორმაცია ტბორებში შემოსული და გასული წყლის მოცულობების შესახებ (თვეების მიხედვით), შესაბამისი დანაკარგების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებული წყალმომხმარებლების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი/შესაძლო ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე (ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები), შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ნარჩენების მართვის საკითხები. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია;

- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- **ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;**
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს მსგავსი ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, განსაკუთრებით ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედების ნაწილში. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. **კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მდინარეზე არსებული წყალმომხმარებლები;**
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- სახელმწიფო/კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია და მათთან შეთანხმების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
- **გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);**
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების წარმოქმნისა და მართვის შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და განხილული ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. დოკუმენტში განხილულია მხოლოდ შერჩეული ალტერნატივა და მასში მწირია ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების საკითხებზე. არ არის განხილული ხე-მცენარეების ჭრა, რაც მნიშვნელოვანი მოცულობისაა. ასევე არ არის სათანადოდ დასაბუთებული აღნიშნული ალტერნატივის უპირატესობა. საჭიროა გზშ-ის ანგარიშში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საქმიანობის შესაძლო ალტერნატივების შედარებითი ანალიზი და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების და გარემოსდაცვითი კუთხით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მიმდინარეობს საპროექტო ტერიტორიის დეტალური ზოოლოგიური კვლევა, რაც მოიცავს ველზე შესაბამისი დარგის სპეციალისტების მუშაობას. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე, მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების საკითხებზე. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად. ამასთან, აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, თევზსაშენიდან ჩაშვებული წყალი მნიშვნელოვნად არ შეცვლის მდინარის წყლის ფიზიკო-ქიმიურ და ბიოლოგიურ მაჩვენებლებს, რაც არსებულ იქთიოფაუნაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს და შესაძლოა ითქვას, რომ მიმდინარე საქმიანობით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება დაბალი ხარისხისაა. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია და მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო დასაბუთება;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტბორებში როგორც წყლის შედინების ისე გადინების წერტილებში, ჩამკეტებთან, მოეწყობა ფილტრები (რკინის წვრილი ზადეები), რათა არ

მოხდეს მდინარიდან ტბორებში თევზის შესვლა, ხოლო ტბორებიდან ხელოვნურად მოშენებული თევზების გადინება. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ხსენებული ბადეების ფილტრების აღწერა, მათ შორის ბადეების პარამეტრები. ამასთან, მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს ტბორებში მოშენებული თევზის მდინარეში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით მოწყობილი ნაგებობის (რკინის წვრილი ბადეები) ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, მთლიანი საპროექტო ტერიტორია, 133935 კვ.მ ფართობი (Shp-ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში კერძოდ, კასპის სატყეო უბნის ახალსოფლის სატყეოში, კვარტალი N32, ლიტერი N5, ფართობი ნაწილობრივ ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ N67.08.34.052. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქმიანობის განმახორციელებელმა (კანონმდებლობის შესაბამისად) გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნეს დასაბუთება (შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით) რამდენად უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქანები დაგუბებული წყლის შენარჩუნებას;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ კვეთს კავთისხევის ქვიშა-ხრემის საბადოს. მიწის ნაკვეთის საბადოს ტერიტორიასთან თანაკვეთის ფართობზე (22470 კვ.მ) ქვიშა-ხრემის მარაგი შეადგენს 67410 მ³-ს. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 1 მ³ ქვიშა-ხრემის მოპოვებისათვის მოსაკრებელი შეადგენს 0,2 ლარს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის

ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით“. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ეტაპზე;

- გზმ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიის დეტალური კვლევების პროცესში, საჭიროა საპროექტო არეალისთვის უფრო ფართო ფორმატით იქნეს წარმოდგენილი მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური გაანგარიშებები, კერძოდ, სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯები, საანგარიშო უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილება, ჩამონადენის მაქსიმალური ხარჯები, მყარი ჩამონადენი, კალაპოტის წარეცხვის მაჩვენებლები და ა.შ.
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური-საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მითითებულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ამასთან, პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს ობიექტზე მისასვლელ გზაზე ინტენსიურ სატრანსპორტო მოძრაობას, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულ ცხოველთა საბინადრო ადგილებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.“ აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და დაზუსტებული უნდა იყოს გზმ-ის ეტაპზე.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ევრობეტონის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ევრობეტონის“ 60 ტონა თევზის მოშენების მიზნით 63 000 მ³ წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციას, სავალდებულოა გზმ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით

გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.